დანართი #2

დამტკიცებულია წარმომადგენლობით საბჭოზე 07. 09.2017, #15

ცვლილებები დამტკიცებულია წარმომადგენლობით
საბჭოზე: 05.03.2024, #1

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში სამეცნიერო თანამდებობაზე მყოფთა სავალდებულო ატესტაცია

1. 6 წელიწადში ერთხელ, მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს, რომელსაც უკავია სამეცნიერო თანამდებობა, სავალდებულო წესით უწევს ატესტაციის გავლა. წარმატებით გავლის შემთხვევაში, ის კიდევ 6 წლით რჩება დაკავებულ თანამდებობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ტოვებს სამეცნიერო თანამდებობას და ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შუამდგომლობით, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აცხადებს კონკურსს ვაკანტურ ადგილზე.
2. ატესტაციის ჩასატარებლად, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ქმნის საატესტაციო კომისიას. რექტორი, კომისიის წევრების აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ, გამოსცემს სათანადო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.
3. საატესტაციო კომისიის საქმიანობას (სხდომის დანიშვნა-წაყვანა, სათანადო დოკუმენტაციის გაფორმება და ა.შ.) ხელმძღვანელობს საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე. კომისიის სხდომათა ოქმს აწარმოებს სააპელაციო კომისიის მდივანი (ამავე კომისიის წევრი).
4. საატესტაციო კომისია შედგება სამი წევრისაგან: ორი წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, ხოლო მესამე (კომისიის თავმჯდომარე) მოწვეული პირი, რომელსაც აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
5. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება უბრალო უმრავლესობა (2). გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.
6. კომისია განიხილავს და აფასებს სამეცნიერო თანამდებობაზე მყოფი პირის მხოლოდ თანამდებობის დაკავებიდან ან წინა ატესტაციიდან გასული პერიოდის (ბოლო 6 წლის) საქმიანობის შედეგებს და არა წარსულ დამსახურებასა თუ მიღწევებს (რის საფუძველზეც მან თავის დროზე უკვე დაიკავა სამეცნიერო თანამდებობა).
7. ატესტაციის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საჯაროდ, უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

ატესტაციის შეფასების კრიტერიუმები

1. ბოლო 6 წლის მანძილზე (ათვლა იწყება წინა კონკურსის ჩატარების თარიღიდან), აკრედიტირებულ ჟურნალში ან კრებულში გამოქვეყნებული სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ნაშრომი (რომელსაც თან ახლავს სქოლიო და გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი):

   1 ნაშრომი - 3 ქულა.

2. პროფილური წიგნი (უნივერსიტეტში არსებული წესის თანახმად, წიგნად ითვლება გამომცემლობის მიერ პოლიგრაფიულად დასტამბული ნაშრომი, რომლის მოცულობა არ უნდა შეადგენდეს 80 გვერდზე ნაკლებს):
   - 2.1. სახელმძღვანელო - 1 ცალი - 10 ქულა;
   - 2.2. დამხმარე სახელმძღვანელო - 1 ცალი - 8 ქულა;
   - 2.3. მონოგრაფია - 1 ცალი - 9 ქულა;
   - 2.4. ბროშურა, ბუკლეტი (მოცულობა 25-დან 79 გვერდამდე) – 1 ცალი - 5 ქულა;
   - 2.5. პროფილური წიგნის თარგმანი - 6 ქულა.

3. სხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასა ან სათანადო პროფილის მქონე ცენტრსა თუ ორგანიზაციასთან, სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის ურთიერთობა:

   1 შემთხვევა - 2 ქულა.

4. პროფილური პრემია:
   - 4.1 რუსთაველის - 5 ქულა;
   - 4.2 სახელმწიფო - 4 ქულა;
   - 4.3 სახელობითი - 3 ქულა;
   - 4.4 ყოველწლიური - 2 ქულა;
   - 4.5 უცხოური - 3 ქულა.

5. ბოლო 6 წლის მანძილზე, მომხსენებლის რანგში სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობა:
   - 5.1 ადგილობრივი - 1 შემთხვევა - 2 ქულა;
   - 5.2 საერთაშორისო - 1 შემთხვევა - 3 ქულა.

6. ბოლო 6 წლის მანძილზე, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება-ჩატარებაში მონაწილეობის მიღება:
   - 6.1 ორგანიზება - ხელმძღვანელობა - ადგილობრივი, 1 შემთხვევა - 3 ქულა;
   - 6.2 ორგანიზება-ხელმძღვანელობა-საერთაშორისო, 1 შემთხვევა - 4 ქულა;
   - 6.3 საორგანიზაციო ჯგუფის წევრობა - ადგილობრივი, 1 შემთხვევა - 2 ქულა;
   - 6.4 საორგანიზაციო ჯგუფის წევრობა - საერთაშორისო, 1 შემთხვევა - 3 ქულა.

7. ბოლო 6 წლის მანძილზე, სასწავლო პროგრამის შემუშავება:
   7.1 დამოუკიდებლად - 1 შემთხვევა - 3 ქულა;
   7.2 ჯგუფის წევრობა ან თანაავტორობა - 1 შემთხვევა - 2 ქულა.

8. სამეცნიერო-კვლევითი ჟურნალის ან კრებულის რედაქციასთან თანამშრომლობა:
   8.1 რედაქტორობა - 3 ქულა;
   8.2 სარედაქციო საბჭოს ან კოლეგიის წევრობა - 2 ქულა.

9. წიგნის რედაქტორობა, რეცენზენტობა, კონსულტანტობა:
   9.1 სახელმძღვანელო (რედაქტორი) – 5 ქულა;
   9.2 სახელმძღვანელო (კონსულტანტი) – 4 ქულა;
   9.3 სახელმძღვანელო (რეცენზენტი) – 3 ქულა;
   9.4 დამხმარე სახელმძღვანელო (რედაქტორი) – 3 ქულა;
   9.5 დამხმარე სახელმძღვანელო (კონსულტანტი) – 2 ქულა;
   9.6 დამხმარე სახელმძღვანელო (რეცენზენტი) – 1 ქულა.
   9.7 მონოგრაფია (რედაქტორი) – 4 ქულა;
   9.8 მონოგრაფია (კონსულტანტი) – 3 ქულა;
   9.9 მონოგრაფია (რეცენზენტი) – 2 ქულა;
   9.10 პროფილური წიგნის თარგმანი (რედაქტორი) - 3 ქულა.
   9.11 პროფილური წიგნის, კრებულის, კატალოგის (რედაქტორი) – 3 ქულა.

10. პროფილური სამეცნიერო-კვლევითი ორგანიზაციის, ცენტრის ან საბჭოს წევრობა: თითოეული შემთხვევა - 2 ქულა.

11. საკვალიფიკაციო ნაშრომებთან დაკავშირებით:
   11.1 სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელობა - თითოეულზე - 5 ქულა;
   11.2 სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - თითოეულზე - 4 ქულა;
   11.3 საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელობა - თითოეულზე - 3 ქულა;
   11.4 სადოქტორო ნაშრომის რეცენზენტობა - თითოეულზე - 3 ქულა;
   11.5 სამაგისტრო ნაშრომის რეცენზენტობა - თითოეულზე - 2 ქულა;
   11.6 საბაკალავრო ნაშრომის რეცენზენტობა - თითოეულზე - 1 ქულა;
   11.7 სადოქტორო ნაშრომის ექსპერტობა - თითოეულზე - 2 ქულა.

12. სამეცნიერო ნაშრომის რეცენზენტობა: თითოეულზე - 1 ქულა.
13. სამეცნიერო კონფერენციაზე სტუდენტის ნაშრომის ხელმძღვანელობა:
   13.1 თითოეულზე (ადგილობრივი) – 1 ქულა;
   13.2 თითოეულზე (საერთაშორისო) – 2 ქულა.

14. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისთვის გრანტის, სტიპენდიის მოპოვება:
    14.1 ადგილობრივი გრანტი (თითოეულზე) – 3 ქულა;
    14.2 უცხოური გრანტი (თითოეულზე) – 4 ქულა;
    14.3 ადგილობრივი სტიპენდია (თითოეულზე) – 2 ქულა;
    14.4 უცხოური სტიპენდია (თითოეულზე) – 3 ქულა.

15. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეობა:1 ვადა - 5 ქულა.
16. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მდივნობა: 1 ვადა - 3 ქულა
17. უნივერსიტეტის სადიდესრტაციო საბჭოს თავმჯდომარეობა: 1 ვადა - 5 ქულა.
18. უნივერსიტეტის სადიდესრტაციო საბჭოს წევრობა: 1 ვადა - 2 ქულა.
19. უნივერსიტეტის სადიდესრტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის თავმჯდომარეობა: 1 ვადა - 4 ქულა.
20. უნივერსიტეტის სადიდესრტაციო საბჭოს დარგობრივი სექციის მდივნობა: 1 ვადა - 2 ქულა.
21. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრობა: 1 ვადა - 3 ქულა.
22. უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობა: 1 ვადა - 3 ქულა.

ატესტაციის შედეგები

1. ატესტაციის წარმატებით გასავლელად, კონკურსანტმა უნდა დააგროვოს მინიმუმ 30ქულა.
2. ზემოაღნიშნული კრიტერიუმების მიხედვით, კომისია აჯამებს ქულებს და საბოლოომონაცემებით გამოავლენს ატესტაციის შედეგს.
3. ატესტაციის ჩატარების თარიღი და დამატებითი პირობები ქვეყნდება საქართველოსკანონმდებლობითა და ინსტიტუტის დებულებით გათვალისწინებული წესით.
4. ატესტაციის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 კვირის ვადაში.

გასაჩივრების პროცედურა

1. აკადემიური საბჭო, რექტორის ბრძანების მეშვეობით, ქმნის 3 წევრიან სააპელაციო კომისიას.
2. სააპელაციო კომისიის ერთი წევრი უნდა იყოს უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, ხოლო ორი (მათ შორის კომისიის თავმჯდომარე) მოწვეული პირი, რომელთაც აქვთ დოქტორის აკადემიური ხარისხი. მდივანი შესაძლებელია ადგილობრივი თანამშრომელი იყოს.

3. კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება უბრალო უმრავლესობა (2). გადაწყვეტილება მიიღება ღია კენჭისყრით, ხმის უბრალო უმრავლესობით.
4. კომისია წერილობით, არგუმენტირებულად აყალიბებს საკუთარ მოსაზრებას და წარუდგენს აკადემიურ საბჭოს.
5. სააპელაციო კომისიის საბოლოო დასკვნის შემდეგ, ატესტაციის შედეგები შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, შემდეგ მისამართზე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. #6.